ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6810494

ნომერი: AR11003411

თარიღი : 29.11.2023

გაცემის თარიღი : 19.12.2023

გაცნობის თარიღი : 20.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 32ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 29 ნოემბერს №AR11003411 განცხადებით მომართა ბესიკ პაპისმედოვმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 17

ოქტომბრის №6713495 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.13.011.724 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 17 ოქტომბრიდან 2026 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი, ითხოვს სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, განმარტავს, რომ აღნიშნულ ბრძანებაში არასწორად არის მითითებული დამკვეთის მონაცემები და საიდენტიფიკაციო ნომერი. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2023 წლის 11 აგვისტოს №AR1960617 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.11.13.011.724 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურმა, იმსჯელა საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად დამკვეთის ინფორმაციის ველში: „საიდენტიფიკაციო კოდი: 406311968“-ის ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა „საიდენტიფიკაციო კოდი: 405122870“.
სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანების გამოცემის მომენტისათვის (ისევე როგორც დღევანდელი მდგომარეობით) საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: 882022345265; მომზადების თარიღი: 23/05/2022 წ.) №01.11.13.011.724 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯგუფი. ხოლო, საიდენტიფიკაციო ნომერს 406311968). ამასთან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B23177872; მომზადების თარიღი: 30/11/2023 წ.) შპს საქართველო-ისრაელის ბიზნეს ჯგუფის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406311968) დირექტორს წარმოადგენს ბესიკ პაპისმედოვი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებაში და დამკვეთის ინფორმაციის ველში: „საიდენტიფიკაციო კოდი.: 405122870“ ნაცვლად დაფიქსირდეს „საიდენტიფიკაციო კოდი.: 406311968.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 17 ოქტომბრის №6713495 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.